# საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №37
## 2021 წლის 24 თებერვალი

## ქ. თბილისი

**„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბიუჯეტის განმკარგველის – 5136 – სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„

| | | |
|---|---|---|
| 1497 | 5137 | ა(ა)იპ „ახალციხის სერვისჯგუფი“. |

“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი** **ივანე მაჭავარიანი**